# ეკონომიკური განვითარების,
# საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების
# კომისიის სხდომის

## ოქმი #6

2022 წელი 18 მარტი 10.30 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ნ.რუხაძე, ა.ხუჯაძე,
მ.ზაქარიაშვილი, ლ.დავითაშვილი
გ.შარაშიძე, ა.რატიშვილი,
ბ.ჯიმელი სულაშვილი, ც.კობერიძე

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის,კომისიის წევრები.

ქთბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი ვახტანგ ლომჯარია

ქთბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიულi საქალაქო სამსახურის უფროსი სერგო ბირკაძე

შპს 'თბილსერვისჯგუფი'-ს წარმომადგენლები.

**სხდომას თავმჯდომარეობდა:**

კომისიის თავმჯდომარე ლ.არველაძე

სხდომის თავმჯდომარე ლ.არველაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" (#12-03220554-03 15.03.2022 წ.)

მოისმინეს:

ქთბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა ვახტანგ ლომჯარიამ წარმოადგინა ინფორმაცია „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვა, დღემდე არ იყო გათვალისწინებული სამშენებლო ობიექტებისათვის, რომლებსაც ინერტულ (სამშენებლო) ნარჩენებთან ერთად წარმოექმნებათ დიდი რაოდენობით მუნიციპალური (საყოფაცხოვრებო) ნარჩენები, რომელიც ხვდება მუნიციპალიტეტის მიერ განთავსებულ კონტეინერებში და რომელთა გატანასაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა რომ ეს პირები (სამშენებლო ნებართვის მქონე პირები) უნდა აღირიცხონ როგორც მოსაკრებლის გადამხდელები და მათ მიერ გადახდილ უნდა იქნას შესაბამისი მოსაკრებელი. რაც შეეხება მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრას, ამ მიზნით განხორციელდა დედაქალაქში მოქმედი საამშენებლო ობიექტების მიერ წარმოქმნილი ნარჩენების გაანგარიშება (ქრონომეტრაჟი), დადგენილების პროექტით წარმოდგენილი სამშენებლო ობიექტების კატეგორიების მიხედვით, რომლის შესაბამისადაც დადგინდა, მათ მიერ წარმოქმნილი ნარჩენების ოდენობა. წარმოქმნილი ნარჩენების შესაბამისი მოსაკრებლის გაანგარიშებისათვის წარმოქმნილი ნარჩენების ოდენობა გადაყვანილი იქნა ზომის ერთეულზე (კ-2 საანგარიშო ფართობის მეტრ კვადრატი) და შეეფარდა მოსაკრებელი

ოცდახუთი ლარის ოდენობით ერთ კუბურ მეტრ ნარჩენზე „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ზღვრული ოდენობების ფარგლებში.

დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელია პირი, რომლის საქმიანობის შედეგადაც წარმოიქმნება ნარჩენები. შესაბამისად, პროექტით (დადგენილების დანართი 2-ის 30-ე - 33-ე გრაფა) გათვალისწინებულია დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვა სამშენებლო ობიექტებზე.

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის დადგენილებაში, რომლის მიხედვითაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში მოქმედ სამშენებლო ობიექტებს დაუწესდებათ დასუფთავების მოსაკრებლის კონკრეტული განაკვეთები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიამ, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილი 12-03220554-03 24.02.2022 წ.) შეაფასა დადებითად და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. კითხვები დასვეს ლევან არველაძემ, ბარბარა ჯიმელმა, ალექსანდრე რატიშვილმა, ცოტნე კობერიძემ.

კითხვები შეეხებოდა მოსაკრებლების ნებართვების ვადებს, სარემონტო სამუშაობების საყოფაცხოვრებო ნარჩენებს, თანხას, რომელსაც მიიღებს შპს „თბილსერვისი“ აღნიშნული პროექტით. მოწვეულმა სტუმრებმა ამომწურავი პასუხი გასცეს დეპუტატების დასმულ კითხვებს.

ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიამ იმსჯელა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, დადებითი რეკომენდაცია მისცა აღნიშნულ საკითხს და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული პროექტი განხილული იქნას საკრებულოს სხდომაზე.

ლ.არველაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე ლ.არველაძე